უნივერსიტეტების დიდი ქარტია 2020

პრეამბულა

უნივერსიტეტების დიდ ქარტიას, იმ ფუნდამენტური პრინციპების დეკლარაციასა და დადასტურებას, რომლებზედაც უნდა დაფუძნდეს უნივერსიტეტების მისია, ხელი 1988 წელს, ბოლონიის უნივერსიტეტის 900 წლის იუბილეზე მოეწერა. პირველი პრინციპი იყო დამოუკიდებლობა: კვლევა და სწავლება ინტელექტუალურად და მორალურად დამოუკიდებელი უნდა იყოს ყოველგვარი პოლიტიკური გავლენისა და ეკონომიკური ინტერესისაგან. მეორე პრინციპის თანახმად, სწავლება და კვლევა ერთმანეთისგან განუყოფელი უნდა იყოს, ხოლო სტუდენტები ჩართულნი უნდა იყვნენ ცოდნისა და გაგების ძიების პროცესში. მესამე პრინციპის მიხედვით, უნივერსიტეტი თავისუფალი კვლევისა და დებატების ადგილია, გამორჩეული დიალოგისადმი ღიაობითა და შეუწყნარებლობის უარყოფით.

უნივერსიტეტების დიდმა ქარტიამ აღიარა, რომ უნივერსიტეტებს, რომლებიც იცავენ ამ პრინციპებს, კულტურის, გეოგრაფიისა და ისტორიის ერთობლივი გავლენით მრავალი განსხვავებული ფორმის მიღება შეუძლიათ. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტი ღიად იყო ევროპული განვითარების კონკრეტული მომენტის შედეგი, ის ითვალისწინებდა დაქსელილ სამყაროს, რომელშიც ადამიანური გაგების ძიებაში ცოდნამ და გავლენამ კულტურული საზღვრები უნდა გადალახოს.

ამ თავდაპირველი დეკლარაციის მიღების დროს შეუძლებელი იყო იმის წარმოდგენა, თუ რამდენად ურთიერთდაკავშირებული გახდებოდა სამყარო. უნივერსიტეტები გავრცელდა მთელს მსოფლიოში, მკვეთრად გაიზარდა როგორც მათი ნაირსახეობა, ასევე მასშტაბები და მისია. გლობალურად გაიზარდა საუნივერსიტეტო განათლების მიღების მსურველი სტუდენტების რაოდენობა და მრავალფეროვნება, ისევე, როგორც გაიზარდა ამ სურვილის მიზეზები და სტუდენტთა ოჯახებისა და საზოგადოების მოლოდინები. არაჩვეულებრივად გაიზარდა პუბლიკაციების რაოდენობა, მაგრამ სულ უფრო მცირდება აკადემიისადმი რწმენა, რაც გამოწვეულია ექსპერტული ცოდნისადმი ნდობის დაკარგვით. ახალი ტექნოლოგიების გავლენის ქვეშ სწავლის, სწავლებისა და კვლევის სახეობები სწრაფად იცვლება; უნივერსიტეტები, ერთი მხრივ, მართავენ ამ პროცესებს, ხოლო, მეორეს მხრივ, პასუხობენ მათზე.

მიუხედავად ამ ცვლილებებისა, ნარჩუნდება უმაღლესი განათლების პოტენციალი, კვლავაც იყოს ცვლილებისა და სოციალური ტრანსფორმაციის პოზიტიური აგენტი. უნივერსიტეტების დიდ ქარტიაში ასახული პრინციპები დღესაც ისევე ვალიდურია, როგორც 1988 წელს; ისინი რჩება კვლევის, ანალიზისა და გონივრული ქმედებების საშუალებით ადამიანის განვითარების აუცილებელ წინაპირობად. ზემოთ ჩამოთვლილი დრამატული ცვლილებები მოითხოვს გლობალური აკადემიის მიერ იმ პასუხისმგებლობებისა და ვალდებულებების განსაზღვრას, რომლებიც, ხელმომწერთა აზრით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია

ოცდამეერთე საუკუნეში მსოფლიოს უნივერსიტეტებისთვის. სწორედ ეს არის ამ ახალი დეკლარაციის საფუძველი.

პრინციპები, ღირებულებები და პასუხისმგებლობები

უნივერსიტეტები აღიარებენ, რომ ეკისრებათ პასუხისმგებლობა, ჩაერთონ და უპასუხონ როგორც მსოფლიოს მისწრაფებებსა და გამოწვევებს, ისე იმ საზოგადოებებს, რომლებსაც ისინი ემსახურებიან, რათა სარგებელი მოუტანონ კაცობრიობას და წვლილი შეიტანონ მდგრად განვითარებაში.

ინტელექტუალური და მორალური ავტონომია არის ნებისმიერი უნივერსიტეტის ხარისხის ნიშანი და საზოგადოების წინაშე მისი პასუხისმგებლობების შესრულების წინაპირობა. ამ დამოუკიდებლობას მთავრობები და საზოგადოება უნდა აღიარებდნენ და უფრთხილდებოდნენ, თავად ინსტიტუტები კი მტკიცედ იცავდნენ.

საკუთარი პოტენციალის რეალიზებისათვის უნივერსიტეტებს სჭირდებათ სანდო საზოგადოებრივი შეთანხმება სამოქალაქო საზოგადოებასთან, რომელიც, ინსტიტუციური ავტონომიის სრული პატივისცემით, მხარს უჭერს აკადემიური სამუშაოს უმაღლეს შესაძლებელ ხარისხს.

ცოდნის შექმნისას და გავრცელებისას უნივერსიტეტები კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ დოგმებსა და დამკვიდრებულ დოქტრინებს, ხელს უწყობენ კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებას ყველა სტუდენტსა და მეცნიერში. აკადემიური თავისუფლება მათი სასიცოცხლო ძალაა, ღია სამეცნიერო კვლევა და დიალოგი - მათი საზრდო.

უნივერსიტეტები აღიარებენ თავიანთ მოვალეობას, ასწავლონ და იკვლიონ ეთიკურად და პატიოსნად, რათა აწარმოონ საიმედო, სანდო და ხელმისაწვდომი შედეგები.

უნივერსიტეტებს აქვთ სამოქალაქო როლი და პასუხისმგებლობა. ისინი სამეცნიერო კვლევის გლობალური, კოლეგიალური ქსელების ნაწილს წარმოადგენენ, ეფუძნებიან ცოდნათა საზიარო ერთობლიობებს და ხელს უწყობენ მათ შემდგომ განვითარებას. ამასთან, ისინი ეკუთვნიან ადგილობრივ კულტურებსაც და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ მათი მომავლისა და ეკონომიკური წინსვლისთვის. მიუხედავად გლობალურ პროცესებში მათი ჩართულობისა და დაკავშირებულობისა, ისინი სრულად ერთვებიან და წამყვან როლებს ასრულებენ ადგილობრივ საზოგადოებებსა და ეკოსისტემებში.

უნივერსიტეტები ტოლერანტობისა და პატივისცემის არადისკრიმინაციული სივრცეებია, სადაც ხდება პერსპექტივების მრავალფეროვნების კულტივირება და აღიარებულია ინკლუზიურობა, დაფუძნებული თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპებზე. სწორედ ამიტომ ისინი იღებენ პასუხისმგებლობას, ხელი შეუწყონ თანასწორობასა და სამართლიანობას აკადემიური ცხოვრების ყველა ასპექტში, მათ შორის სტუდენტების მიღების, პერსონალის დაქირავებისა და დაწინაურების პრაქტიკებში.

განათლება არის ადამიანის უფლება, საზოგადოებრივი სიკეთე და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის. უნივერსიტეტები აღიარებენ, რომ სწავლა არის საქმიანობა მთელი ცხოვრების მანძილზე, რომელშიც უმაღლესი განათლება არის უწყვეტი პროცესის ერთი ნაწილი. ამ ერთი ნაწილის ფარგლებში, უნივერსიტეტები ემსახურებიან განსხვავებულ მოსწავლეებს მათი ცხოვრების ყველა ეტაპზე.

უნივერსიტეტები აღიარებენ, რომ ინდივიდებსა და საზოგადოებებს, ხშირად უთანასწორო ვითარებების გამო, უჭირთ უმაღლეს განათლებაზე წვდომის მოპოვება ან აკადემიური სწავლის ფორმებსა და შინაარსზე ზეგავლენის მოხდენა. ადამიანური პოტენციალის რეალიზებისათვის უნივერსიტეტები მიზანმიმართულად ეძებენ განსხვავებული ხმებისა და პერსპექტივების მოზიდვისა და ჩართვის გზებს.

2020 წლის უნივერსიტეტების დიდი ქარტიის ხელმოწერით უნივერსიტეტები აცხადებენ თავიანთ ერთგულებას თავდაპირველი დეკლარაციისადმი და საკუთარ თავზე იღებენ ზემოაღნიშნული პრინციპების, ღირებულებებისა და პასუხისმგებლობების დაცვასა და წინწაწევას, რათა გააძლიერონ უნივერსიტეტების როლი პლანეტის შენარჩუნებისა და ჯანმრთელობის, კეთილდღეობისა და განმანათლებლობის ხელშეწყობაში მსოფლიო მასშტაბით.

დამტკიცებულია მმართველი საბჭოს მიერ 2020 წლის 12 მარტს